# სემეკი

## როცა ბალანსი დაცულია

## კორპორატიული სტილის სახელმძღვანელო

# სარჩევი


| | |
|---|---|
| ლოგო | 4 |
| პროპორციები | 5 |
| ლოგოს ფერი | 6 |
| შავ-თეთრი ლოგოს გამოყენების წესები | 7 |
| სისუფთავე | 8 |
| აკრძალვები | 9 |
| ფერები და მათი გამოყენების პრინციპები | 10 |
| ტიპოგრაფიკა | 16 |
| პოლიგრაფიული მასალა | 18 |
| ელექტრონული შაბლონები | 30 |
| სუვენირები | 40 |

# ლოგო

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) ლოგო.

ლოგოს ისტორია

სემეკი

როცა ბალანსი დაცულია

GNERC

when balance is achieved

სემეკის ლოგო ქართული და ლათინური ფონტის გამოყენებით

# პროპორციები

X=ძირითადი სიმბოლოს მეათედი.

X – სემეკის ლოგოში არის დაშორების მინიმალური ზომა ლოგოსა და სხვა ობექტს შორის, ასევე X-თ განისაზღვრება მინიმალური დაშორება საბეჭდი მასალის უკიდურეს კიდეებსა და ლოგოს შორის.

X-ის ზომა პროპორციულად იზრდება და მცირდება ლოგოს ზომის ცვლილებასთან ერთად

X აუცილებლად უდრის ძირითადი სიმბოლოს სიგრძის (ან სიგანის) ზომას გაყოფილს 10-ზე.

ლოგოს ცენტრში მოთავსებული ტექსტი ყოველთვის უდრის 5X-ს, ხოლო სლოგანი 12X-ს ტოლია.







დაუშვებელია ლოგოს პროპორციების ცვლილება.

# ლოგოს ფერი

სემეკის ლოგო სიმბოლოს მინიმალისტურობის და უნიკალურობის გამო ადვილად დამახსოვრებადი, პირდაპირი და ეფექტურია.

რომ არ ავცდეთ ლოგოს ამ თვისებებს აუცილებელია მივდიოთ ჩამოთვლილ წესებს.

ლოგოს ფერი

ლოგო ყველაზე კარგად მუშაობს თეთრ და ღია ფერის ფონებზე, მუქ ფონებზე მხოლოდ თეთრი ფერის ლოგოს გამოყენებაა დაშვებული.

# შავ-თეთრი ლოგოს გამოყენების წესები

# სისუფთავე

იმისთვის რომ ლოგო გარკვევით ჩანდეს და არ წარმოიქმნას ვიზუალური უწესრიგობა ამისთვის საჭიროა ის გარშემორტყმული იყოს ცარიელი სივრცით, რომელიც თავისუფალია გრაფიკული და ტიპოგრაფიკული ელემენტებისგან.







იხილეთ იდეალური და მინიმალური სისუფთავის მაგალითები.

# აკრძალვები

არ გამოიყენოთ ლოგო კონტურული სახით.

სემეკი

როცა ბალანსი დაცულია

არ გამოიყენოთ ლოგო მხოლოდ ერთ ფერში, გამონაკლისია ლოგო შავ ან თეთრ ფერში.

სემეკი

როცა ბალანსი დაცულია

არ დაიტანოთ ლოგო კომპლექსურ ფონზე.




დაუშვებელია ლოგოში ნებისმიერი სახის ჩრდილის და გრადიენტის გამოყენება.

# ფერები და მათი გამოყენების პრინციპები

სიმბოლოში თითოეულ ფერი სემეკის კომპეტენციაში შესული მიმართულებების განშლაა.

ლურჯი – წყალი

მუქყვითელი – ელ-ენერგია

შაბიამნისფერი – ბუნებრივი აირი

მწვანე – განახლებადი ენერგია

იმისთვის რომ ეს ფერები გამოვიყენოთ დანიშნულებისამებრ საჭიროა მივსდიოთ შემდეგ რეკომენდაციებს:




ლურჯის როლი

ლურჯი ფერი გამოიყენება ფონების და სხვა გრაფიკული ელემენტებისთვის, მისი გამოყენება არ არის რეკომენდირებული ტიპოგრაფიკაში.

# ფერები და მათი გამოყენების პრინციპები

მუქყვითელის როლი

გამოიყენება ფონებისთვის, ღილაკებისთვის და იკონოგრაფიკაში.

მუქყვითელის გამოყენება არ არის რეკომენდირებული ტიპოგრაფიკულ ელემენტებში.

ა FAIL

ა FAIL

ა PASS

ა PASS

**დასახელება**
მუქყვითელი

**RGB**
233, 118, 39

**HEX**
#e97627

**CMYK**
4, 66, 97, 0

# ფერები და მათი გამოყენების პრინციპები

შაბიამნისფერის როლი

შაბიამნისფერი გამოიყენება ფონებისთვის, იკონოგრაფიკაში, კონტურული დეტალებისა და ღილაკებისთვის, ასევე დასაშვებია მისი გამოყენება ტიპოგრაფიკულ ელემენტებში.

ა ა ა ა

FAIL FAIL PASS PASS

**დასახელება**
შაბიამნისფერი

| RGB | HEX |
|---|---|
| 14, 150, 180 | #0e96b4 |

CMYK
80, 25, 21, 0

# ფერები და მათი გამოყენების პრინციპები

მწვანე ფერის როლი

მწვანე ფერის პალეტს ვიყენებთ ფონებისთვის და ინტერაქტიული ელემენტებისთვის.

არ არის მიზანშეწონილი მწვანე ფერის ტიპოგრაფიკაში გამოყენება.

ა ა ა ა

FAIL FAIL PASS PASS

**დასახელება**
მწვანე

**RGB**
31, 154, 76

**HEX**
#1f9a4c

**CMYK**
83, 14, 96, 2

# ნეიტრალური ფერების პალეტი

### მუქი ნეიტრალური ფერების პალეტი

ბრენდში ნეიტრალური ფერები ძირითადად გამოიყენება ტიპოგრაფიკაში, ასევე ფონებისთვის და იკონოგრაფიკაში. მუქი ნეიტრალური პალეტი ეფექტურია კონტრასტის შესაქმნელად როგორც პოლიგრაფიულ ისე ელექტრონულ მასალაში.

| | | | |
|---|---|---|---|
| | RGB 38, 41, 42 | CMYK 73, 64, 63, 66 | HEX #26292a |
| | RGB 38, 41, 42 | CMYK 73, 64, 63, 66 | HEX #26292a |
| | RGB 38, 41, 42 | CMYK 73, 64, 63, 66 | HEX #26292a |
| | RGB 38, 41, 42 | CMYK 73, 64, 63, 66 | HEX #26292a |
| | RGB 38, 41, 42 | CMYK 73, 64, 63, 66 | HEX #26292a |

# ნეიტრალური ფერების პალეტი

## საშუალო და ღია ნეიტრალური ფერების პალეტი

საშუალო და ღია ნეიტრალური ფერების პალეტი გამოიყენება ფონებისთვის, ტიპოგრაფიკაში, იკონოგრაფიკაში ასევე ინფოგრაფიკებში, კომპლექსურ ჩარტებსა და გრაფებში.
ნეიტრალურ ფერთა ეს პალეტი გამოიყენება ჩრდილის შესაქმნელად.

| | | | |
|---|---|---|---|
| | **RGB** 38, 41, 42 | **CMYK** 73, 64, 63, 66 | **HEX** #26292a |
| | **RGB** 38, 41, 42 | **CMYK** 73, 64, 63, 66 | **HEX** #26292a |
| | **RGB** 38, 41, 42 | **CMYK** 73, 64, 63, 66 | **HEX** #26292a |
| | **RGB** 38, 41, 42 | **CMYK** 73, 64, 63, 66 | **HEX** #26292a |
| | **RGB** 38, 41, 42 | **CMYK** 73, 64, 63, 66 | **HEX** #26292a |

ტიპოგრაფიკა

ბრენდის ფონტი

# BPG Paata Font Family

ბრენდის ძირითადი ფონტია BPG Paata ფონტის ოჯახი, ამ ფონტს ვიყენებთ სათაურებისთვის, ქვესათაურებისთვის და მცირე ჩანართებისთვის, გრძელი ტექსტისთვის კი გამოიყენება BPG Nateli ფონტის ოჯახი. პოლიგრაფიული მასალებისთვის ვიყენებთ BPG Paata და BPG Nateli ფონტების ნაზავს.

სათაური

ᲤᲝᲜᲢᲘ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ქვესათაური

ფონტი ქვესათაურისთვის

ჩანართი

ფონტი ჩანართისთვის

გრძელი ტექსტი

ფონტი გრძელი ტექსტისთვის

გრძელი ჩანართი

ფონტი გრძელი ჩანართისთვის

პოლიგრაფიული მასალები

**ფონტი პოლიგრაფიული მასალებისთვის**

ფონტი პოლიგრაფიული მასალებისთვის

# პოლიგრაფიული მასალები

სავიზიტო ბარათი

სემეკის სავიზიტო ბარათი, წინა და უკანა მხარე. დიზაინი მოცემულია ორიგინალ ზომაში: 85mmX-50mm

ტექსტის და იკონოგრაფიკული ელემენტების ფერის ან ზომის ცვლილება დაუშვებელია.

იხილეთ მოცემული ზომები:

სახელი გვარი - 12pt
რეგალიე - 9pt
საკონტაქტო ინფორმაცია - 8pt







ბეჭდვის დროს სავიზიტო ბარათს ყველა მზრიდან უნდა ემატებოდეს 3 მმ ბლიდი.